ბრუცელოზი

ბრუცელოზი საქართველოში გავრცელებული ინფექციური დაავადებაა, რომელიც ადამიანს გადაეცემა დაავადებული ცხოველიდან (ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა, ღორი და სხვა) და მისგან მიღებული პროდუქტებიდან.

ბრუცელოზი ადამიანს ძირითადად გადაეცემა:

1. კონტაქტური გზით - ავადმყოფი ცხოველის აბორტირებულ მასალასთან, რძესთან, სისხლთან, შარდსა და განავალთან შეხებით; მშობიარობის დროს დახმარებისას, მოწველისას, ნაკელთან მუშაობისას;
2. საკვებით - თერმულად დაუმუშავებელი პროდუქ-ტების გამოყენებისას (აუდუღარი რძე, ხაჭო, კარაქი, არაჟანი, ცუდად მოხარშული ხორცი);

ბრუცელოზით უმთავრესად ავადდებიან მწყემსები, მწველავები, ცხოველის მომვლელები, ყასბები და სხვა.

? როგორ მივიტანოთ ეჭვი ბრუცელოზზე? ადამიანში ბრუცელოზი ხშირად უსიმპტომოდ ან სუსტად გამოხატული ნიშნებით მიმდინარეობს

დამახასიათებელია:

- ცხელება, სისუსტე, ღამით ოფლიანობა
- ოფლიანობა სპეციფიური სუნით
- ზურგის კუნთებისა და თავის ტკივილი
- სახსრების ანთება
- დეპრესია, უძილობა, დაქვეითებული კონცენტრაცია
- ხშირად ქრონიკულდება და იწვევს ინვალიდობას

თუ ეჭვობთ, რომ ბრუცელოზი გაქვთ დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

! დროული მკურნალობით ბრუცელოზი იკურნება, არ ქრონიკულდება და არ სრულდება ინვალიდობით!

ბრუცელოზი

NCDC / NFA

ცხოველებში ბრუცელოზი ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს ან ვლინდება აბორტებით, გართულებული მშობიარობით, სახსრების შეშუპებით, წველადობის შემცირებით, ბუღებში - სათესლე ჯირკვლის ანთებით...

თუ ეჭვი გაგიჩნდათ, რომ თქვენს შინაური ცხოველს ბრუცელოზი დაემართა, სასწრაფოდ მიმართეთ ვეტერინარს!

ცხოველის ბრუცელოზით დაავადებაზე დიაგნოზი დგინდება ლაბორატორიული გამოკვლევით.

ბრუცელოზით დაავადებული ცხოველის მკურნალობა არ ტარდება.

? როგორ დავიცვათ თავი, გარშემომყოფები და შინაური ცხოველები ბრუცელოზისაგან?

ბრუცელოზისაგან საუკეთესო დაცვა - თვითონ ცხოველის დაცვაა!

! ვეტერინარის რჩევით ჩაუტარეთ შინაურ ცხოველებს ვაქცინაცია - ცხოველის ბრუცელოზისაგან დაცვის საუკეთესო გზა ვაქცინაციაა.

- ბუცელოზზე ეჭვისას დაუყოვნებლივ განაცალკევეთ დაავადებული ცხოველი ჯანმრთელისაგან და მიმართეთ ვეტერინარს;
- ცხოველი მშობიარობისას იყოლიეთ იზოლირებულად; ნაადრევი ან/და გართულებული მშობიარობისას მიმართეთ ვეტერინარს;
- დაიცავით პირადი უსაფრთხოება და გამოიყენეთ: ხელთათმანი, ხალათი, წინსაფარი, ჩექმები, ნიღაბი... ცხოველების მოვლისას, მშობიარობის, დაკვლა-დამუშავების, სადგომის დასუფთავების და ნაკელზე მუშაობის დროს;
- ნუ მიიღებთ აუდუღარ რძეს, აუდუღარი რძით დამზადებულ რძის პროდუქტებს და არასაკმარისად მომზადებულ ხორცს საკვებად;
- ჩაუტარეთ თქვენს ცხოველს გამოკვლევები ბრუცელოზზე.